კვირა, 24 სექტემბერი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 25 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 39

1917

ეშმაკის კოოპერატივი.



„ქალაქის" წარმომადგენელი.—აბა, ამხ. ეშმაკო, გვიბოძე ერთი თავი ქიათურისათვის.

ეშმაკი. თქვენ როგორი თავი გნებავთ, ძველი თუ ახალი სისტემისა?

წარმომადგენელი. რასაკვირველია ახალის.

ეშმაკი. თქვე დალოცვილებო, იძახით ახალის, ახალისო, ძველებს რაღა ვუყო, აი აქ მიყრია.

წარმომადგენელი. ფიქრი ნუ გაქვს, ახლა იმდენი თავია საჭირო, რომ ძველიც გასაღდება.

ეშმაკი. რამდენ გირვანქიანი გნებავთ?

წარმომადგენელი. რამდენიც იქნება, ოღონდ კი იყოს...

ობერ-პროკურორი

ივერიის წმინდა ეკლესიისა

დავით კასრაძე.

შემთხვევით წავიკითხე ივერიის ეკლესიის ობერ—პროკურორის, დავით კასრაძის წერილი: „იუმორი, თუ სიბრიყვე“.

ანკი რამდენ სიბრიყვეს პატივცემული დავით კასრაძე დასწერს ყველა თუ ვიკითხეთ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

ეს (არა უკანასკნელი) მისი სიბრიყვე მე შემეხება და სხვა არა იყოს, ვალდებულება მაწევს წავიკითხო.

„კამათი“ სწარმოებს „ეშმაკის მათრახის« სასულიერო ნომრის გარშემო.

თავის ღიდებულ ვიცე-მოწინავეს დავით კასრაძემ წაუმძღვარა ჩემი წერილიდან ამონაგლეჯი სიტყვები: „ხშირათ მოხთება, რომ ვირის იდეალს კაცი ემსახურება, ხოლო კაცისას ვირი,“ და მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო უკეთესი საბუთი ამ სიტყვების დასამტკიცებლათ, ვიდრე მასზე მიშენებული, დავით კასრაძის. წერილია.

რამ აამხედრა პატივცემული დონ-კიხოტი ქართული ეკლესიისა?

აქ მრავალგვარი მიზეზი შეიძლება დასახელებულ იქნას, ვინაიდან ზოგიერთა მწერალი ერთობ მიზეზიანი ბუნების პატრონია, ხოლმე.

შეიძლება დავით კასრაძე განგვირისხდა იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს პირველ წერილში ისიც არ მოვიხსენიეთ. და თუ ეს მართლა ასეა დავამშვიდებთ „საქართველოს“ უებრო მგოსანს, რომ აღნიშნულ წერილში ჩვენ ვეხებოდით **„მათ ღვაწლს საღმრთო წერილის დ ვალსაზრისით.“** ჩვენ რომ საერო მწერლობასთან გვქონოდა საქმე, დარწმუნებული ბრძანდებოდეს ბ-ნი კასრაძე, რომ არც მის ღვაწლს დავივიწყებდით. დღეს კი, როცა დავით კასრაძემ ასე ჩინებულათ დაიცო ქართველი სამღვდელოება ეშმაკის თავდასხმისაგან თავისი სახელოვანი წერილით, ისიც თამამად შეიძლება აღნიშნულ ისტორიულ გვამებს მიეწეროს, მაგრამ მაშინ, როცა მე ჩემს **წერილს: „ჯირის ღვაწლს“** ვწერდი ეს ისტორიული შრომა დავით კასრაძისა არ არსებობდა და მაშასადამე ამ მხრივ მას არაფერი სასაყვედურო არც შეიძლება ჰქონდეს ჩვენთან.

შეიძლება პატივცემული ობერ-პროკურორი*) ჩვენ პრესის შებღალვას გვაწერს და ამით აღშფოთდა მისი ფაქიზი ბუნება? თუ ეს მართლა ასეა, მაშინ არაფერი დაუშავდება ჩვენ უბადლო მწერალს, ერთხელ კიდევ რომ გადაიკითხავდეს კრილოვის ჩინებულ იგავს: „მაიმუნი და სარკე“, ამ შემთხვევაში მას სარკეობას სამართლიანს გაუწევს მისივე წერილი: „იუმორი, თუ სიბრიყვეა?“ მართალია აღნიშნულ წერილში მეტათ ღრმა მეცნიერული აზრებია გამოთქმული კორკოტის, მარჩიელის და საკუთრების საჭიროებათა დასასაბუთებლათ, მაგრამ შეიძლებოდა ეს ღრმა აზრები უკეთესი ენით დაწერილიყო. ასეა, თუ ისე ამ მხრივ მე სრული უფლება მაქვს ბ-ნ კასრაძეს „მწველელი ძროხის წიხლები“ მოვაგონო: „უზრდელობა“, „სიბრიყვე“ „მატრაკვეც“ ეს დავით კასრაძის წერილის საუკეთესო სიტყვებია. ამგვარათ არც ამ მხრივ იყო მოსალოდნელი ასეთი განრისხება ჩვენი უსაყვარლესი მწერლისა.

შეიძლება დავით კასრაძე იმან გააბოროტა, რომ გაუგებრობით ჩვენ ტაბლა-კორკოტის უარყოფა შემოგვწამა? ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენ ქართული ეკლესია ისე ვერ წარმოგვიდგენია, თუ საკურთხ-ტაბლა-კორკოტობა მოისპო. პირიქით ჩვენ ყოველთვის მოუწოდებდით ქართველ მორწმუნე საზოგადოებას, მიცვალებულის ცხონება არ შეიძლება, თუ მღვდელმა შაბათობით მის საფლობაზე შემწვარი ქათმები და ხაჭაპურები არ მირთვა თქო. ჩვენ, ეშმაკები, არც სხვა და სხ საიდუმლოებათა წინააღმდეგნი ვართ. განა შეიძლება კაცმა აღსარება არ აღიაროს? ნეტარ-ქრისტეს მოყვარე სამღვდელოება აღსარებაში მოსმენილს აშკარად პოლიციასაც უზიარებდა, მაგრამ ეს ხომ საკმაო საბუთი არ არის ცოდვათა ჩაბარების მოსასპობათ.

ჯვარის წერა? ოჰ, ღმერთო ჩემო! განა შეიძლება ჯვარის წერა მოისპოს? აბა რას ემსგავსე

---

*) **თითონ დავით კასრაძე თავის თავს „მრ... მილიციონერს“ უწოდებს მაგრამ ეს სახელი მას შუშვენის როგორც ძროხას კურტანი.**

ჯვარ-დაუწერელი ცოლ-ქმარი? ცხონებული ლუარსამ თათქარიძეც ხომ იმ აზრისა იყო, რასაც ჩემთან ერთად იზიარებს ივერიის წმინდა ეკლესიის ობერ-პროკურორი დავით კასრაძე წარმოიდგინეთ თქვენ ლუარსამ თათქარიძე „ღრაჟდანსკი ბრაკით“ ყოფილიყო შეუღლებული დარეჯანთან! არა, მე ეს არასოდეს არ მითქვამს და დავით კასრაძე მხოლოდ შეცდომით მაწერს. მე ვერ შევურიგდები იმ გარემოებას, როცა ჩვენი ეკლესიის კარებთან ვაჭრობა აღარ იქნება მეჯვარესა და მღვდელს შორის ჯვარსაწერ ქანქრის რაოდენობათა შესახებ. იმდენ ჯერ მინახავს მე ეს „ტორგი“ რომ მისი არსებობა ჩემთვის მოთხოვნილებათ გადაიქცა, ისევე როგორც თვით სამღვდელოებისათვის. ვიტყვი იმასაც, რომ დავით კასრაძე ამ საკითხს სხვა, უფრო ღრმა ეროვნული თვალსაზრისით უყურებს ის, როგორც ქართველი ბურჟუაზიის მებაირაღტრე, მღვდელსა და მის მრევლთა შორის გამართულ ვაჭრობას ქართული ეროვნული ვაჭრობა-მრეწველების აღორძინების გაკვეთილებათ სოფლის. მართლაც და ხომ უნდა მიეჩვიოს ჩვენი ერი ამ საქმეს და გამოვიდეს სავაჭრო სამრეწველო ასპარეზზე?

ერთი სიტყვით მე ვერ გამიგია რამ აამხედრა ჩემს წინაღმდეგ ბ-ნი დავით კასრაძე.

არის კიდევ ერთი მოსაზრება. ამბობენ ბ-ნ კასრაძეს უნდა კათალიკოსობაზე თავისი კანდიდატურა წამოაყენოსო და თუ ეს მართალია, მაშინ ნამსახურებითი ფურცელიც უნდა წარედგინა საეკლესიო სობოროსათვის. იმასაც მოგახსენებენ, რომ ერთ-ერთ კრებაზე მან კიდევაც განაცხადა: ამდენი შრომა მიმიძღვის ივერის ეკლესიის წინაშე და თუ ჩემსას არ დაიჯერებთ კრებას დავსტოვებო. ხუმრობა მუქარა ხომ არ იყო და ალბათ კრებაც დასთანხმდა. ჩვენ ეს გარემოება არ ვიცოდით, თორემ „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია თითონ წამოაყენებდა კათალიკოსად დავით კასრაძის კანდიდატურას.

კმარა რაც ფაქტები მოვიყვანე ჩემი უდანაშაულობის. აწ საჭიროა თვით კასრაძის წერილს დაუბრუნდეთ. დავით კასრაძე სწერს:

„ავიღოთ პირველი წერილი ბ-ნი ეშმაკის „ვირის ღვაწლი“, რა არის ეს თუ არ ბიწიერების აპოლოღია? ან და ხელმოუწერელი ლექსი „ა ხუცესი“.

რაიცა შეხება ჩემს წერილს „ვირის ღვაწლი“, ბევრი ნაკლით არის აღჭურვილი, ვინაიდან მრავალ პატივცემულ ვირთა ღვაწლი დაგვრჩა აღუნუსხავი, მაგრამ „ბიწიერებას“ მასში არავითარი მონაწილეობა არა აქვს. უფრო საინტერესოა მეორე ხელმოუწერელი ლექსია „ხუცესი.“ მაქს ნორდაუ*) არ ვიცი რა აზრისაა, მაგრამ ჩვენის ცნობით ამ ლექსს ავტორი არა ჰყავს, ან უკეთ ვთქვათ მისი ავტორია მთელი დასავლეთი საქართველო. კასრაძის საუბედუროთ ეს ლექსი ხალხურია და ჩემს თვალ წინაც (ნათვლა-ქორწილში) არა ერთსა და ორ მღვდელს წამოუწყია სიმღერით აღნიშნული ლექსი.

ობერ პროკურორის დამახასიათებელია ის თვისებაც, რომ ამბობს: მთელი ნომერი „ბიწიერების აპოლოღიააო“ და ერთი ნიმუში არ მოიყვანა ამ ბიწიერებისა. რატომ? მიტომ, რომ ჩვენი ბიწიერება მის „უბიწოებასთან“ შედარებით აბრაამის ბატკანია.

დავით კასრაძე ერთობ ახირებული მწერალი ყოფილა. ერთად ერთი მოხდენილი აზრია მის წერილში და ისიც მაქს ნორდაუს ეკუთვნის ჩვენს ობერ პროკურორის ღმერთიც თავისებურათ ყავს წარმოდგენილი. მას ეგ ხატება ღვთისა ალბად სადმე ძველ სოფლის ეკლესიაში უნახავს. აი მისი გამოხატულება:

ხალიჩებიან ტახტზე ზის მოხუცი ღმერთი. ფეხი მოკეცილი აქვს, გვერდებზე მოქარგული ფარჩის მუთაქები უწყვია. გრძელი, საბლალოჩინო წვერი, ტახტზე ლადის და თანაც მთელ გულმკერდს ეფინება. ხშირი წამწამი თვალებს სუროსავით გადმოჰფარებია. თეთრი თმაც ბეჭებზე აფარია. წინ შემწვარი გოჭი, მოთალო და მწვანილეულება უწყვია. ცალ ხელში პატარა ყანწი უჭირავს, ხოლო მარცხენა იღლიაში კუპრიელი. სახე მას კეთილი, ღმობიერი და მომღიმარი აქვს. აი როგორია დავით კასრაძის წარმოდგენილი ღვთის ხატება.

ჩვენ კი ღმერთი არც ვიცით რა სახისაა. არც ერთ ჩვენს თანამშრომელს ის არ უნახავს, თორემ ან კარიკატურას კი გადიღებდენ და ან ნამდვილ სურათს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მისი თვისებები ვიცით.

---

*) მოწაფეა დავით კასრაძისა!

ა) პირველ ყოვლისა ის ყველა ენაზე ლაპარაკობს, ან უკეთ ვსთქვათ მას ყველა ენაზე ელაპარაკებიან; მაგრამ მე ჯერ არავინ მინახავს რომ მისი თხოვნა იმას დაეკმაყოფილებიოს. ყველაზე უფრო ის მღვდლების თხოვნას სტოვებს უყურადღებოთ, ვინაიდან მას იმათგან თავი მოძულებული აქვს.

ბ) მეორე მისი თვისება უარყოფითია: ას არავის არ ინდობს, ზოგს დროთი და ზოგს უდროოთ ჰკლავს. ამის შესახებ თქვენ მოგეხსენებათ სოლომონ ზურგიელიძის აფორიზმი: „კაცი, რომელიც იბადების, იგიც ჩადის საფლავსა“ და ახლა მოგახსენებთ ლადო გეგეჭკორის მოსაზრებაც!

„გულში ჩამეცა ლახვარი,
გრძნობამ შელახა გონება,
თურმე იმ ქვეყნად სიკვდილსა
სუყველა დაემონება“

ღმერთს რომ ეს ცუდი თვისება არა ჰქონდეს, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაყეფდა.

გ) მესამე თვისება ღვთაებისა ის გახლავთ, რომ გონიერების განაწილებაში ერთობ უსწორ-მასწორია ზოგიერთ ადამიანს თავის თავზე ისეთ წარმოდგენას მისცემს, თითქო დედა-მიწის სიმძიმე მის ბეჭებზე იყოს დაფუძნებული, ხოლო თავს საამისოდ სრულიადაც არ შეუიარაღებს. ამ მუხლებში დავით კასრაძესაც სრული ნება აქვს უმადური იყოს ღვთაებისა, (თუნდაც წვერიანის), ვინაიდან ამ ნიადაგზე ის დიდათ ჩამწვარია.

დროა წერილის ბოლო მოვუღოთ. ჩვენ ამდენსაც არ გავაგრძელებდით მას, თუ რომ ამ ჟამად საეკლესიო კრება არ ყოფილიყო. დასასრულ მოვიყვან დავით კასრაძის „პოსტ სკრიპტუმს„, რომლითაც ის მაბეზღებს სამღვდელოებასთან:

„p. s. კარგი იქნება თავისი აზრი გამოეთქვა ამ ანტიეკლესიური ქადაგების შესახებ იმ დემოკრატიულს სამღვდლოებას გაზეთ „ერთობის“ მასპინძლობით. რომ სარგებლობენ იზარებენ თუ არა ისინიც ასეთ აზრებს და თუ არა, რით და როგორ ჰსურთ გასცენ პასუხი ამ მოვლენას“.

ჩვენ მივუგებთ: დაე გაგვცენ პასუხი ყველაფრით, რითაც მოესურვებათ (თუნდაც გამკრიჭონ) მხოლოდ ვსთხოვ ნუ გამხდიან იძულებულს ხელ მეორედ ისეთი უზარო წერილი გადავიკითხო, როგორც დავით კასრაძეს სიბრიყვია“.

ეშმაკი.

წერილი ეშმაკთან.

ძმაო ეშმაკო! ვიცი გიყვარს საეშმაკო ამბავი და ერთ საეშმაკო ამბავს მეც გიგზავნი. საქმე იმაშია, რომ, ამ დღეებში წავიკითხე ვიღაც ნ. კალანდაძის „ასტრონომია“, რამაც, ცოტა არ იყოს, შური აღმიძრა. „როგორ,—წამოვიძახე გულნატკენმა,— ვიღაც კალანდაძე, რომელიც მიწაზეც ძლივს დახოხავს, ზეციურ ამბებს უნდა წერდეს და მე კი, მგოსანი, რომელსაც ჩემი ოცნების რაშით ათი ათასჯერ მაინც მექნება სამყარო გარდი—გარდო მოვლილი, გულ-ხელ დაკრებილი უნდა ვიჯდე?!“ და მეც შეკუდექი საქმეს. მართალია საიდუმლო ხმამ გამაფრთხილა: „შენი ასტრონომიაო, ლობიო და ღომიაო“, მაგრამ მე მაინც არ დავიჯერე და ჩემი საქმე განვაგრძე. დარწმუნებული ვარ, თუ კალანდაძეს მეცნიერული მეთოდით ვერ ვაჯობე, იმით მაინც ვაჯობებ, რომ ჩემი ასტრონომია ლეკსათაა დაწერილი და ეს ხომ პირველი მაგალითია მთელ მსოფლიოში? მაშ შენც მოათავსე ჩემო ეშმაკო, შენს „მათრახში“. დეე იცოდეს ბ. კალანდაძემ, რომ მის გარდა კიდევ არის ჩვენს კურთხეულ სამშობლოში „ასტრონომი“.

ბზე და მთვარე.

მზემ წვერი ჰკრა... სხივთ ნაკადი
ოქროს ტალღათ გაიშალა,
მწვერვალს ყელზე მოეხვია,
ნისლთა რიდე მოაცალა,
დილის ნამით პირ დაბანილს
ვარდს ღაწვები შეუმშრალა,
ზღვას გულმკერდში ჩაეკონა,
მის უფსკრულში მიიმალა,
და დილიდან საღამომდე
იქ, ტალღებში, ბანაობდა,
მასთან ერთად ქანაობდა.
რა შებინდდა, ლაჟვარდი ცა
ვარსკვლავებით მოიქედა,
მთვარე დინჯათ ამოცურდა,
ზღვას წიაღში ჩააცქერდა,
იქ მზის ლანდი დაინახა,
იცნო, იცნო ღვიძლი დედა

და ნიავსა გადმოსძახა:
სათხოვარი რამ მაქვს შენდა:
ჩემს მშობელ მზეს გადაეცი
ჩემი აჯა, ჩემი თხოვნა,
რომ გულით მსურს მისი პოვნა.
რა რომ მოვწყდი მის მკერდს შემდეგ
არ მინახავს მისი სახე,
ობლათ დავალ მარტოთ მარტო...
თუ არ გჯერა მოდი, მნახე.
მართალია, შუქს მიგზავნის,
არ არს ჩემზე გულით მკვახე,
მაგრამ ვწუხვარ მაინც კიდევ,
რადგან ახლო ვერსად ვნახე...
ახ, ნეტავი ეროხელ კიდევ
ვიხილავდე სხივთა მფრქვეველს,
სიცოცხლის და შვების მძლეველს!
ბევრი ავი სიტყვა მესმის
მის შესახებ კაცის თქმული.
მინდა ვკითხო, მართალია,
თუ ზღაპარი მოჩმახული:
ნუ თუ მართლა უცივდება
ქვეყნის მნათობს ცეცხლის გული?!
ნუ თუ მართლა უნდა ჩაქრეს
ჩვენი შვება სიხარული
და წყვდიადმა, გულ-ზვიადმა,
უნდა ჩანთქას მთლად სამყარო
და სიცოცხლის დაშრეს წყარო?!"
და ნიავმაც მზეს გადასცა
მთვარისაგან დანაბარი.
მზემ სხივები შეატოკა,
პირს გაეკრა ღიმი მტკბარი,
და მთვარესა შეუთვალა:
„იყავ მშვიდათ, გულ დამჯდარი:
შიში სიკვდილს ვერ დაიჭერს,
ამაოა გლოვა, ზარი!
შესაძლოა ასეც მოხდეს,
შედგეს ჩემი ჩარხის ბრუნვა,
მაგრამ გმართებს მისთვის ურვა!?
წეს-კანონი ბუნებისა,
მტკიცეა და შეუცვლელი:
ვინც მე შემქნა, ჩემისთანას
სხვასაც შექმნის მისი ხელი.
ბუნებაში ბევრი არის
ნივთი ცეცხლათ ასაგზნელი,
მხოლოდ უნდა მას სტიქია,
ვულკანურათ შემრყეველი,
რომ აფეთქდეს, რომ აენთოს,
გახდეს ჩემებრ მოელვარე,
გაანათოს არე-მარე.
ეს ვარსკვლავნი აქ, სივრცეში,
მომხიბლავათ რომ დაცურვენ,
თვით მზეები არ არიან
და ჩემსავით არა ბრწყინვენ?
მაგრამ თუ მე მარტო ვმზეობ,
ისინი კი ჩემს გარს ბრუნვენ,
იმიტომ რომ დიადი ვარ,
ჩემს გავლენას ვერსად უვლენ.
მაშ აქედან ნათლად არ ჩანს,
შესაძლოა განჩდეს სხვა მზე,
მსოფლიოს შნო, სილამაზე!"
და მთვარემაც შვება იგრძნო,
გულს მოეშვა, მოეფინა,
საოცნებოთ აკაშკაშდა,
ვერცხლის სხივთა შეკრა კონა,
მთა-ბარს ყელზე მოახვია,
ზღვას წიაღში ჩააკონა,
ღამის დემონს, ფრთებ გაშლილსა,
მკერდში ლახვრათ განუწონა
და მწუხრიდან ცისკრის დრომდე
უზოგველათ მიმოზდევდა
და შავ კაბას ტანთ ახევდა.

ვ. რუხაძე.

წყალწუგო.

აბანო № 1. რომელსაც ძველათ ეპიზკოპოზის აბანოს ეძახდენ, ხოლო დღეს მე „კათოლიკოზისა" დავარქვი, ყველაზე პატარა და უკეთ მოწყობილია. ის ჰკურნავს ყოველგვარ სასულიერო სნეულებათაგან, სიმსუქნისაგან, რევმატიზმისა და პადაგრისაგან, სისხლ ნაკლებობისა და სისხლ მეტობისაგან. უხდება აგრეთვე ხმასაც. როგორც აუცილებელი თანამგზავრი სასულიერო კათოლიკოზის აბანოს წინ ამოჩუხჩუხებს მშვენიერი წყარო, სახელწოდებით „კუპის წყალი". თითონ სახელი ამ წყაროისა აჩვენებს მის დანიშნულებას და განგების ხელს უნდა მიეწე-

როს, რომ ეს წყარო სწორეთ ეფისკოპოზის აბანოს წინ ამოსკდა. „კუჭის წყალს“ ბევრი გარეშე, არა სასულიერო პირიც ეტანება. ყველანი ხარბათ ეწაფებიან მას. მე ვნახე ახალგაზდა, რომელსაც ერთი დღის განმავლობაში თექვსმეტი ბოთლი წყალი დაელია და კუჭი მაინც დამძიმებული არა ჰქონდა.

აბანო № 2. ძველათ გუბერნატორის ტიტულით იყო დაჯილდოებული. კათალიკოზის აბანოზე უფრო დიდიც და უფრო უსუფთაოც არის. ხალხი მას ბევრი ეტანება. აქედან ცხადია იმისი განსაკუთრებული ცხოველმყოფილობა. ჯერ ჯეროობით გამორკვეულია, რომ ის უხდება: ბნედას, ბრონხიტს, უუმურს, აპენდიციტს, აბსენტეიზმს, ბუასილს, და სხვა მრავალს. წყლის სითბო 33-° უდრის, ხოლო მოქმედება რადისა 4.

აბანო № 3. (ძველი აბანო) სიდიდით ყველაზე უფროსია და უსუფთაობითაც ყველაზე უსუფთაო. აქ არის 4 განყოფილება: ორი საქრისტიანო, ორიც საებრაელო. ძველი აბანო ეს უუსასწაულთ მოქმედესი აბანო მთელს წყალტუბოში. ძნელი წარმოსადგენია ისეთი სენი, რომელიც არ ამოგყვეს აღნიშნულ აბანოდან. მისი სასწაულთ მოქმედების აღსანიშნავათ საკმარია დავასახელოთ ის გარემოება, რომ ეგრეთ წოდებული „კუდები“ მხოლოდ ამ აბანოს წინ შევნიშნე თითოეული აუზში ერთად ჩადის არა უმეტეს ორას-ორასი კაცისა, ან უკეთ ვსთქვათ იმდენი რამდენიც შიგ ჩაწყობით ჩაეტევა. ქურდობა ამ აბანოში არც ისე ხშირი მოვლენაა, როგორც თფილისის სადგურზე, მაგრამ მის სიცოტავეს დიახაც ვერ დავეშდურებით. ამ ნიადაგზე ჩხუბი და აყალ-მაყალი უმთავრესად ქალების განყოფილებაში ხდება.

კოდის აბანო დასავლეთის განაპირა მხარეზე სდგას და ორი განყოფილებისაგან შესდგება. როგორც კათალიკოზის აბანო, აგრეთვე კოდისა, არისტოკრატიულ აბანოთ არის მიჩნეული და მასში „განბანა“ 30 კაპ. ღირს. კოდის აბანოს მახლობლათ ამოსდუღს **„თავის ტკივილის“** წყარო. მის გარშემო მუდამ აუარებელი მანდილოსნობა ფუსფუსებს და იბანს მტკივან თავს. განსაცვიფრებელია მისი სასწაულთ მოქმედება.

იქვე, კოდის აბანოს შორიახლო მე აღმოვაჩინე **„მაზოლის წვეთი“**. ეს წყარო ისე მოსწვეთავს, როგორც თფილისის წყლის მილი, მაგრამ სამაგიეროთ მას განსაკუთრებული ძალა აქვს. საკმარისია რამოდენიმე წვეთი დაისხათ (დღეში სამჯერ) მაზოლიან ფეხზე, რომ უკვე კანიკურნოთ. ხალხში ამ წყაროს ჯერ ავტორიტეტი არა აქვს მოხვეჭილი, მაგრამ იმედი მაქვს მერმის ზაფხულში წყალტუბოს განსაკუთრებით მოაწყდება მაზოლიანთა ლეგიონები.

აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჩემი მეგობრის ლასა მგელაძისა და სამსონ კილამის მიერ აღმოჩენილი წყარო **„საბელატო“**. დარწმუნებული ვარ, როცა ქართველი საზოგადოება გაეცნობა მის ღირსებას წყალტუბოსკენ რკინის გზასაც გამოიყვანენ. წყალი „საბელატო“ საკმაოთ ამოსჩქეფს და მსურველთა სიმრავლეს სავსებით დაკმაყოფილებს.

რაც უნდა ბელატი თავი იყოს, საკმარისია დღეში ხუთჯერ განიბანო იმითი (სამი თვის განმავლობაში) რომ თმა ამოსკდეს. ჩემი ლაპარაკი ზედმეტია ამ აღმოჩენის ღირებულების დასამტკიცელათ.

წყალტუბოს აბანოებზე ლაპარაკი ვგონებ საკმაოზე მეტიც მომივიდა. მკითხველი იფიქრებს თითქო სხვა რამ კულტურული დაწესებულება აქ არც არსებობდეს. ეს კი ასე დიახაც არ არის. წყალტუბოს მშვენიერი სამკითხველოც აუგია მგოსანი აკაკის სახელობაზე. მართალია აღნიშნულ სამკითხველოს ყოველ თვე არ მოსდის ჟურნალ-გაზეთობა, მაგრამ ახლა არც ისეთი საინტერესო ამბებია, რომ ერთი თვის წინანდელი ამბავი მოძველებულათ ჩაითვალოს.

საინტერესო გასართობს წარმოადგენს ის წიგნი, რომელშიაც სამკითხველოში შემსვლელნი სწერენ თავის ვინაობას. ამ წიგნში იწერება სახელი, გვარი და სამსახური მკითხველისა. იქვე გვერდზე დატოვებულია ზოლი, „შენიშვნებისათვის“. როგორც გამოირკვა ეს ჟურნალი საუცხოვო სავარჯიშო წიგნი ყოფილა წყალტუბოელ უსაქმურთათვის და შენიშვნები მასში მოთავსებული ცხადჰყოფენ მკითხველთა გონება მახვილობას.

სახელი და გვარი	წ ო დ ე ბ ა	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
ვასილ თუმანიშვილი	ნაფიცი ვექილი	ყუთი კედელზე არა ჰკიდია*)
ოტია იოსელიანი	„მგოსანი“	
Малакія Антелава	Чинов. воин. уѣз. пр.	შეიძლებოდა ქართულად დაწერა**)
უცნობი	„მგოსანი“	ამ ალბომში ჩასაწერი მე არა მაქვს არაფერი! ან რა უნდა დამეწერა, შიგ სწერია ყველაფერი.
თამარა იოსელიანი	სოციალისტკა	მიყვარხარ ვიცი, არ უნდა ფიცი.
Тамара Хоштарія	Свѣтская барышня	
პოლიკარპე იოსელიანი	აზნაური	ძირს აზნაური! როცა იყავი აზნაური მაშინაც ვერ ხმარობდი და ახლა რას ჩააცივდი?
ვასილ ცხაკაია	შავი მუშა	ნუ იპრანჭები!***)

მე მხოლოდ სანიმუშოდ მოვიყვანე ეს ორიოდ ამონაწერი წყალტუბოს აკაკისეულ სამკითხველოს წიგნიდან, მაგრამ რათქმა უნდა ეს მხოლოდ ნაწყვეტია იმისი რაც აღნიშნულ ჟურნალში სწერია. გულწრფელად ვურჩევ რევმატიზმიან სტუმრებს წყალტუბოს აბანოებისას თავისუფალ დროს გადაიკითხონ ეს წარწერები, ვინაიდან უკეთეს გასართობს ჭეშმარიტად რომ ვერას იპოვნიან.

ეშმაკი.

---

*) როგორც ხედავთ ყურადღება იურიდიულ ნაკლზეა მიპყრობილი.

**) მართლაც. განა არ შეიძლებოდა ქართულად ჩაწერა?

***) განსაკუთრებით თანადროული და საყურადღებოა ეს უკანასკნელი შენიშვნა. მართლაც ადამიანის პრანჭვა-გრეხა იმაზე უფრო შორს სადღა წავა, როცა აწერს „შავი მუშა“ ვარო.

მოდა...



ახალი ქალაქი **კუდ-რაჭა***) მისი ახლად არჩეული საბჭო.

*) ქალაქი **კუდ-რაჭა** ს�ი უზარმაზარი შენობისაკენ შესდგება.

ქალაქი გორი და მისი ახალი თავი.



სერგო რობაქიძე. სად ჯანაბაში არის ქალაქი რო ვერა ვხედავ?

პატარა ფელეტონი.

ტრაღედია.

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი მომკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტოდა
პატარაში არ კმარიყო“.

ქართული ანდაზა.

თფილისის რუსულ—-ქართული გაზეთების ცნობით, ჩვენი საყვარელი ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვი აურჩევიათ ალექსანდროპოლის ქალაქის თავად.

მორიელი.

თანამედროვე ანეგდოტები

(სცენა სცენისათვის).

ილაპარაკეს მიტინგზე ჩვენში არსებული პარტიების წარმომადგენლებმა და ყველამ თავის მხრივ სამეგობროთ მოუწოდა მსმენელი,

სიტყვას თხოულობენ მსმენელი გლეხები.

—ამხნაკებო! ყველაფერი კაი საქმე გევიგონეთ და ყველაც თავისთვის სამეგობროთ მოგვიწოდებს; აფხანაკობას თხოულობენ, მარა ასათ ხომ ვერ გევიქრებით. ახლა ერთობა გვინდა; ყველა ერთი კაციღით ერთად უნდა ვიყოთ და საერთო საქმე უნდა ვაკეთოდ კიდევაც. აი მე დურგალი ვარ; ვეჩქარები მალე საძირკველ., გავფსკნა და სახურავი წამოვაფარო საჩქაროთ, მერე მოვდგები ნელა-ნელა და ხან რას ვაკეთებ და ხან რას: დავანაწილებ ოთახებით და შესაფერ ბინებათ. აი ახლა ეს რევოლიუცია დავასრულოთ. აი რესპუბლიკა კაიუნდაიყოს როვარც ქე ვხვდები, მერე მოვდგეთ დავაკეთოთ და ვაკეთოთ ეგი შინაური საქმები, ისე როვარც საჭირო იქნება.

მეორე გლეხი.

—აფხანაკებო! ყველას კი გვახსოვს 1904-5. ჩვენი გამომფხიზლებელი ს. დემოკრატიები იყვენ. იძახოდენ; ძირს ნიკოლოზიო, ჩვენც უმოწმებდით. მიწები უნდა ჩამოერთვას ვისაც მეტი აქ ან არმათ შეუძენია და გადაეცეს ვისაც ჰირდებაო, უმოწმებდით ჩვენც დაგვიხაროდა კიდემაც. ერთი სიტყვით რასაც გვეუბნებოდენ უჯერებდით. ვიცი გუნებაში ბარე ორს ეცინებოდა აგი ამბავი და აბდლობა ეგონათ. ასთე ვფიქრობდი მეც, მარა სააშკაროზე არაფერს ვამხელდით და როცა შემოვიდა რეაქცია, ის იყო ჩვენი საქმე და პლანები იმან დააქცია; მოგვადგენ და ტყავი დაგვაძვრეს. მაშინ ყველას კი დაგვეკარგა იმედი; ზოგი გულში და ზოგი აშკარად ვიძახოდით: ნიკოლოზს იგინი როვა ჩამოაგდებს და ან ამდონ საქმეს მაგენს ვინ გააბედვიებს, ისთე გვატყუებენ თქვა. მარა უღიტინეს და უღიტინეს ნელანელა ბევრი მოკლე და ბევრი ციხე-ციმბირში წევიდენ, მარა მაინც უღიტინეს და უღიტინეს და უღიტინეს და ქე არ გააკეთეს, რაცხა უნდოდათ ამ ჩვენ დაცინვაში! ახლა აფხანაკებო ვინცხამ ეს საქმე დეიწყო, რავარც თქვა ქეც დაესრულეს ისთე და იმას მაშინაც ქე უჯეროდით და აწიც უნდა დოუჯეროთ; ჯერ არაფერი უქნიათ ცუდი და აწი, თუ-კი იცოდებენ განა თვალები არა გვაქ?..

მესამე გლეხი.

ჩვენთვის კაი ვისაც უნდა ქე ვატყობთ აქედანვე, არა ეს თავადი, აზნაური, მღვდელი, ვაჭრები და ის მდიდრები, რომ მოგვდგომიან და გვიჩიჩინებენ: სოციალ დემოკრატები გატყუებენო, თქვენი გალარიბება- გაპლეურეტრება უნდებიანო, ერთი მითხრან საიდან ჩანს ეგი ასთე. ეს ხალხი მუდამ თავზე გვადგა და სულს გვხდიდა; მიწა ძალით, თუ შევიძინეთ თვარა ნებით არ მოუციათ; დღეობაში არ გაგვესვლებოდა მათი შიშით ხალხში ყველგან დაჩაგრული ვყავდით; მუდამ ბატონათ გრძნობდენ თავს და ჩვენ მონათ გვთლიდენ, ტყავს გვაძრობდენ და გვაღარიბებდენ. ახლა რა პირით გვეუბნებიან: „ჩვენ თქვენთვის კაი გვინდა და სოციალ დემოკრატებს გლახაო?.. თუ ასთეა, აფხანაკებო, რომ სოციალ დემოკრატებს ჩვენთვის გლახა უნდათ და შენი გლახა ხალხია მაშინ ჩვენი გლახის მდომი ხო თავიდანვე ი ჩვენი მტრები იყვენ, მოდით ამ ჩვენს მუდმივ მტრებს სოციალ დემოკრატები დავარქვათ ,ხოლო სოციალ დემოკრატებს, მეგობრები. ა არ. მოგეცემენ აწი ამის ნებას ჩვენი აფხანაკები?

ა. ხაზფელიანი.

ეირია მონასტერი.

(ვუძღვნი სვეტ ლეკუკას.)

ორმოცდა ჩვიდმეტჯერ რომ მენახა სიზმარში აგი ამბავი, იმას რავა დევიჯერებდი, რომე ნიკოლოზ ხემწიფე ასთე უცებ წამეიჩოქებდა! პიატი გოდაში მისმა კაზახ-რუსებმა კუდის რიკამდე ამაშვლიპეს ტყავი და რავა ვიფიქრებდი რომე დღეს იგენი უტევდენ, მარა ინება იესო მაცხოვარმა, ჩალლხი წალმა შემოტრიალდა და მე რომ მინდოდა ისტე მოჭახრაკდა საქმის კარაბადინი! მე აქანე ყურზე მეძინა და პეტრებულში სულ ორ დღეში გათავდა და ჩეიარა რევოლუციამ! სულ რომა, სულ არ გამიგია არაფერი თქვენ არ მოუკვდეთ ჩემ თავს! არა, ნამდვილ პასლიკაში ჩაგვიდენ და ისტე ფოშტით მოგვართვენ აგი სლაბოდაც და თავისუფლებაც! ბიჭო, მე აქანე რევოლუციიზა თორმეტი წელიწადი ველოდებოდი. პასლედნი კატა რომაა, იგიც კი შეეიარაღე და ჭეშმარატათ მინდოდა რომე პიატი გოდის სისლი ამეღო. მე შენ გითხრა და მოჩხუბარი ხალხი არ მყავს ოჯახში! ჩემი ბარბალე ბზიკ შემჯდარი ჯორივით ყოველ ნიმუტს! გამზადილია ჩხუბიზა და ვერ დატრიალდება მე გეტყვი შარშან წინ აბესალო ტალახაძის ნათვლიდან რომ დავბრუნდი სახლში, ჭეშმარიტათ გვარიან გადაპრუწულში და რავარც მოგეხსენებათ ნასმი კაცის ამბავი, პეტერე წევეარშიყე ჩემ ბარბალეს. რაცხა უჟმურ ხასიათზე შეხვდა და ნაგაზი ძაღლივით დამიწყო ღრენა! ცოტა უყუჩე, მერე კიდო მოუცაცუნე ხელი, მარა მისთანა მიცაცუნება შენს ტერს! რომ შემოტრიალდა ბოშო კურო მოზვერივით და დაატანა ფოსტლებს ხელი, მისთანა მდღლიზა, რომე მარცხენა ნეკრის ძვალი რავარც შაბი, ისტე გადამანტვრია! მართალია ქეც შევწუხდი და ძალიანაც მეტკინა, მარა რევოლუციიზა თელათ რომ წავაგო თავი, კაპიკათ არ ჩავაგდებ, არ მოგიკტეს სავლე კრიმონიჩი! მაშინათვე გამიელვა თავში აზრმა და ვიფიქრე: აგი ფოსტლების ძირი რომ მოუჭედო ფსხვილი ჯორის ნალის ლურსმებით, მაშინ ჩემი ბარბალე რევოლუციას მიმაგებიებს კი არა, თელი ბათალიონი რომ მიაყენო ზედ ვერას უზამენ თქვა აგი ვიფიქრე, დავწყე პლანები და ლევიწყე მზადილი! იცოცხლე მე ის ჩემი ფერდების დამზელი ფოსტლები დავაჭდიე გემოზე! რევოლუციზა და ბარბალეც მზაა მყავდა დასატაკებლათ, მარა ვინ გაგაგებია რამე! აგი სლაბოდობა ისტე მოგვართვა პეტრებულმა, რავარც შემწვარი გოჭი! პატარა ქე შემცხვა სხვის გაწყობილ სტოლზე რომ ალიფაშა შემოუკრიმაჭულე, მარა რომ ეგონა საქმე, არც ისტე დარჩა! მე ვთქვი: ნიკოლოზი გადმოვაკოტრიალეთ, ბურჟუებს ცხვირი ჩაუნაღვლეთ, კნიაზები მოვკუნტეთ, ხუცები ავაწრიალეთ თქვა მარა სულ სხვაფერ წევიდა საქმე! თელათ ეირია და ეისვარა ყორისფერი! ბიჭო! ყორისფელი კაი, მარა იმას რავა ვიფიქრებდი, თუ აგი ჩვენი ცოციალდემოკრატია შუაზე გეიყოფოდა და ერთიმეორეს დეესოდა! ბიჭო ჩვენ ყურები გამოგვიქედენ „შეერთით, შეერთდიო“ და შეერთდით კი არა რავარც წურბელი ისტე მივეწეპე ჩემს ბარბალეს, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თაეს, მარა რაი! ჩვენ გვარიგებენ და თვითონ იწიწებიან! ბიჭო, რა გაჩდენ ეს ბოლშევიკები! რავა ააფორიაქენ ყორისფელი, რავა ასვარ-დასვარეს თელი დუნია! მანდამაინც ჩხუბი, შე კაცო, რავა ნელათე რომ შეწყვეთ და არც წვადი დეიწვას და არც შამფური, იმას რა ჯობია! ვაი, რავალი დაწყობილი, რავალი გაჩისტული საქმე ასვარენ; კაცი რომ რჯულს გადოუდგები და კაკი წერეთელს არ ირწმუნებენ, შერცხვენაა შორაპნის ვეზდის, აბა რა ჯანაბაა! აგია მერე კაი, აგია მერე ლამაზი! უხ, ბოლშევიკებო! ერთი თქვენი თავი ჩამიგდო ხელში რომე რიგიანათ შეგზილოთ... (უცებ იყვირებს) ვაი ჩემს მოსწრებას! მე აქანე ვატარტალებ ენას და უმარულის წადება კი თელათ დამავიწყდა! (თავში ირტყამს ხელს) ვაი, ამ დღეს მომსწრეს! ქალი უმარულს და მე აქანე რჩები გავაპტყელე! დედა, რავალი გადარეული იქნება ახლა! აწი და მე უბედური ამ ბოლშევიკებს სხვაგან რალას დავეძებ. ჩემს ბარბალეს რომელი მამალი ბალშენიკი ჯობია! რომ მოგირთავს ახლა იმ დაჭედილ ფოსტლებს ნეკნის ძვალი კი არა, ფიჟვებს ამომაყრიებს კისერში! ახლა უნდა გოუწვე მენშევიკურათ, არ უნდა ლაპარაკი, თვარა რომ გამიგდებს ქვეშ და მანახრიტის დიქტატორას ყველა ეს ერთად გამომიცხადებს!

ეოგია.

ივალდებულო დადგენილება.

(რკინის გზის მთავარი სახელოსნო)

რაკი რკინის გზის მთავარ სახელოსნოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოკრული განცხადება ეხება მხოლოდ სინდისიანებს, ჩვენ უსინდისო მოვაჭრე ორგანიზაციის წარმომადგენელმა გადავსწყვიტეთ: გავაორკეცოთ ვაჭრობა, მაგალითად:

ა) სბორნი ცეხის ვაჭართა ორგანიზაციას დღემდის კვირაში მოჰქონდა სამაი ნესვი, დღეიდან უნდა მოიტანოს ექვსასი.

ბ) ტოკარნი ცეხისამ ოცი ფუთი პამიდორი.

გ) კუზნეჩნი ცეხისამ, ვინაიდან უმეტესობა ხაშის მოყვარული რაჭველებისაგან შესდგება, ნიორი უნდა მოიტანოს სამჯერ მეტი.

დ) ვაგონი ცეხისამ უნდა ჩამოიტანოს ლობიო და ღომ—მომი სამჯერ მეტი.

ე) სადურგლო ცეხისამ ვირის საპალნე მსხალი ორჯერ მეტი.

ვ) მღებავთა ცეხისამ კიტრი ორჯერ მეტი.

ზ) რადგან კიტრმა, ნესვმა, პამიდორმა და მსხალმაცილება იცის „კატელნი“ ცეხი სავაჭროთა ორგანიზაციას დაევალა მოიტანოს ხუთჯერ მეტი არაყი, რომ მუშტრები არ დაგვიავათმყოფდეს.

ერთხმათ გადასწყდა: თუ აღმასრულებელი კომიტეტი შეგვიტყობს და სეზონის ბილეთებს ჩამოგვართმევს ვიმოგზაუროთ ვაგონის სახურავებით.

მიღებული იქნა აგრეთვე ისიც, რომ იმ კომიტეტის წევრს, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს ჩვენს ვაჭრობას, უფასოთ დაეთმოს კვირეში ერთი ნესვი.

ძამია.

მოწოდება.

(სიტყვა და საქმე)

ხალხნო! სამშობლო განსაცდელშია,
თავისუფლება საფრთხეს განიცდის!
(ხალხი კი დგანა რიგში „კუდებათ,“
ყურს არ იბერტყავს, იგი პურს უცდის.)

—

მიეცით სესხი ახალ მთავრობას!
ხალხნო —, სამშობლო მოითხოვს მსხვერპლსა!
(ხალხი აგროვებს ქაღალდის ფულებს,
მიწაში მალავს ოქროს და ვერცხლსა.)

—

ჯარისკაცებოი წინ გასწით მედგრათ,
ხომ ხედავთ მტერი თუ რა რიგ გვიტევს?
(ჯარისკაცები იბრძვიან „ზურგში,“
იქ, ბრძოლის ველზე, იხევს და იხევს.)

—

მუშებო შევკრათ მჭიდრო კავშირი,
ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებიან!
(მუშები ალბათ მაშინ მოიცლის
ფრაქციულ ბრძოლას რომ მორჩებიან.)

—

გლეხებო, გვიხსენ დამშევისაგან,
პური სჭირიათ თქვენივე ძმებსა!
(ჯერ სად სცალიათ გლეხებს ამისთვის,
არ წამართვანო იყოფს მიწებსა)

—

რამდენია მძლავრი სიტყვა,
ჯერ უცნობი, ჯერ უთქმელი,
რამდენია კარგი საქმე,
ჩვენთვის უცხო, ჯერ უქმნელი.
სიტყვა იგი მაშინ ვარგა,
როცა ჰპოებს კარ გამგონეს,
საქმეც მაშინ გაკეთდება,
თუ ვაფასებთ ჩვენ ძალ-ღონეს.

ი. ც—ძე

ფოთს.

შენა ხარ ქალაქთა მეფე და მთავარი;
კოლხეთის მშვენება, ზურმუხტი, ჯავარი.
შენს მკერდზე ქანაობს რიონი მდინარი,—
ხან რისხვით მოსილი, ხან ნაზად მცინარი.
შენ კალთებს გირეცხავს შავი ზღვის ტალღები
დახტიან შენს ირგვლივ, ვით გიჟი ბალღები.
შენ ყელზე გევლება გველივით წალწინა,
სურნელი წყლიანი, წყნარი კაპარჭინა.
ოჰ, ესე მდინარე სამზეო ,სადარი,
ამქვეყნად ვინ ნახოს იმისი სადარი,!

იქ მარად დასცურავს დამხჩვალი კატები
ძაღლები, ქათმები, იხვები, ბატები;
იქ ცხოვრობს ბაყაყი—მუსიკის დოცენტი,
მიტომც იქ იმართვის ყოველ ღამ კონცერტი.
იქ ცხოვრობს ყვითელი უჟმური დასობით,
ვინც მცხოვრებთ მუნ უჭკნობს სიცოცხლეს
ასობით!..
და მისსა ნაპირსა ლურჯსა ლორწიანს,
სად კოლოთ ურდონი აწყობენ კორწიანს
და სადაც უჟმურისა ეწყობა ბაზები,—
იქ მარად იკმევა სურნელი გაზები.
და აჰა ქუჩები, ეგ შენი ქუჩები,
წყალ შენაგუბები, წუმპ მონაქუჩები,
სად ღამე ბინა აქვს სიბნელეს
წყვდიადსა,!—
სიმშვენით ედრება ქალა-დიდს დიადსა.
ჰა, აგერ ბაღიცა გიჟურად მზირალი,
ბალახით ავსილი, მწუხარე, მტირალი.
სიმწრისა ცრემლები ჩამოსდის თვალებზე:
ობლობა ისახვის მის ველურ ხალებზე.
აქ ხშირათ სეირნობს ძროხა და ღორია,
(უფლებით ხომ ყველა დღეს თანასწორია!)
ნელ-ნელა დადიან ფეხების პაკუნით
მოცლით და სიდინჯით ბალახის ტკარუნით
ბაღის წინ წყნარად სთვლემს ზარმაცი
ბაზარი,
კარ გამოკეტილი, ჩუმი ვით სამარი.
მის ტკბილ ძილს არ არღვევს კაცთ
ფეხთა სრიალი,
არც კეკლუცთ კისკისი, არც ჯოგთა
ხრიალი.
სიწყნარე, სიჩუმე, სიჩუმე სიწყნარე
ქუჩიდან ქუჩაზე მსრბოლ-გადმომდინარე—
აი რა იტაცებს ჩემს გულს და გონებას,
აი რა მიღვივებს ძილსა და ზმორებას.

—

მიყვარხარ, ქალაქო, მთელ ჩემი არსებით,
როს მე შენ არ გხედავ ვიმოსვი ფლასებით
მიყვარხარ რომ შენ ხარ ქალაქთა მთავარი!
კოლხეთის დიდება, ზურმუხტი ჯავარი.

პოდბიპენტა

—

*) უჟმურს დასავლეთ საქართველოში მალიარიას უწოდებენ.

**) ჭალა-მეგრული სიტყვა, როგორც გადმომცეს ჭაობს ნიშნავს.

ს ა ჭ ა ნ ა

(ეწრის კუთხე)

ეწრის კუთხის ნაწვავ-ნაკდავ
ნამეცადინევი.
ჰქონდენ ეკლესია, მაზე
დაიღალა ხევი...
დაიღალენ, მაგრამ ჰქონდათ
ზორბა ეკლესია,
საცეცხური სახარება
და სხვა... რაც წერია
დააწერეს ღვთის მშობლობას
ცეკვა, ღამის, თევა.
სთქვეს სტუმარსაც პატივი ვცეთ:
თუ კი მოერევა.
„მოთრევის“ არ მოგახსენოთ,
სოლო „მობრძანებათ“,
ბევრს ნახავდით ალოლებულს,
მოსულს თავის ნებით.
სვამდენ, სჭამდენ, დათრობოდენ
აყოლებდენ ჭკუას,
ხან ჩხუბობდენ, ხან ცეკვავდენ,
მღეროდენ „იპ-უას“.
ეს კი იმ დროს, განათლებათ
იყო მიღებული,
დათრობ-აყალ-მაყალ-ჩხუბის
ვიყავით ერთგული.
მაგრამ არ მოგვწონდა,
ან რა კანონია,
ეკლესიას რომ ალპობდენ
არ გამიგონია.
რომ სავსებით ეკლესიას
ავალოთ ხელია,
არ შევლოშოთ არ დავხუროთ
ეს რა სათქმელია.
ეკლესიას არ უვარგა
თული, სახურავი,
წაბლის კედლებს თუ დავალპობთ
ეს იქნება ავი.
ისეთ საქმეს ნუ ჩავიდენთ
ქრისტიანს ეწყინოს,
შეგნებულს რომ გული დაასწდეს,
ეშმაკს გაეცინოს.
ეკლესიის ეზოშია

ბლომათ ანწლიკაი,
ეზოც შეულობავია,
ეს არ არის კაი.
რა თქმა უნდა საჭიროა
სუფთა სასაფლაო
მამა ჩემი რომ მომიკდეს
სად დავასაფლაო.
ამით ყველას მოგიწოდებთ:
თქვენც შეიგნოთ, (დროა)
იმ საქმისთვის ვიმუშაოთ
რაც რომ საჭიროა.
სასაფლაო არ გვინდაო,
იტყვის გიჟი, შტერი,
გთხოვთ შევლობოთ, და გავსწმინდოთ
თქვენი.

ისკანდერი

დ ე ბ ე ბ ი.

დ. მიხაილოვი. 17 აგვისტოს, ზემოჭალის სკოლაში მოხდა მიხაილოვის რაიონის სახ. მასწ. ფილიალურ განყოფილების კრება. გულსახეთქი საკითხი იყო მიმდინარე მომენტში „ბედი სახალხო მასწავლებელთა„. ეს საკითხი კრებაზე, თანახმად თელაველ მასწავლებელთა ტელეგრმისა, ცნობილ იქნა „განსაცდელში“, ვინაიდან ის, უკანასკნელად მიღებულ ცნობით, ვარდება ვიღაც კომისიარიატის მიერ დანიშნულ კომისრების ხელში. ამის გამო კრებამ დაადგინა: პროტესტი გამოეცხადოს თავხედობისათვის კომისარიატს, რომელიც მასწავლებლების მხრივ არ იქნება ნდობით აღჭურვილი და თავის სამოქმედო პროგრამაში ნაციონალიზაციის სახელით ეცდება: ა) სკოლებში განმარუსებელ პოლიტიკის გაუქმებას, ბ) ქართულ სკოლებში რუს-ბერძენ მასწავლებლების ნაცვლად ქართულის მცოდნე პირების გამრავლებას და გ) განყოფილების სამოსწავლო წლის რაოდენობის მიხედვით სახელწოდებას, ვინაიდან დღემდის ზოგიერთ აქაურ სკოლებში ასე არ იყო- მოწაფეები პირველ განყოფილების წოდების ღირსი მხოლოდ მეორე წელიწადს გახდებოდნენ. ე. ი, როდესაც რუსულ ენის „წვალებას“ შეუდგებოდნენ.

ნოდე.

ფოთი. (ნახუტურის ფრონტი. გურიის ქუჩის რაიონი.) აქ გაჩდა სარწმუნოებრივი სექტა, სახელად „ბახუსელნი“ ამ დღეებში ამ სექტის მთავარ-ქურუმებმა: [1]) ლარვენტი, მეიქაბიშვილმა და მიხაკო გოგუამ. ტ. ტუღუშის შენობაში დაარსეს ბახუსის სამლოცველო. [2]) სამლოცველომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბახუსის ბევრი მორწმუნენი შემოიკრიბა თავის გარშემო, „ვცელ“ ფოთის სხვა და სხვა კუთხეებიდან.

„ბახუსელნი“ მართლაც ჭეშმარიტი მორწმუნენი აღმოჩნდენ. მათმა დღიან-ღამიანმა ლოცვა-ღაღადმა, [3]) მსხვეპლის შეწირვამ, [4]) გალობამ [5]) და ბახუსისავე პატივსაცემლად გამართულმა ცეკვა-ფერხულმა, შელუღმა [6]) და ერთი-მეორის მუშტებით დაზელვამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ სიწყნარის მოყვარულ ქრისტიანეთა შორის-

უკმაყოფილება თანდათან აღელვებათ იქცა, აღელვება—აღშფოთებათ და აღშფოთებამ შეტევის ხასიათი მიიღო. დაირაზმა ორთავე მხარე და გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა პირველათ „ბახუსელნი“ მამაცურათ და გმირულად იგერებდენ ქრისტიანეთა იერიშებს და ზოგჯერ კონტრ-იერიშებზედაც გადადიოდენ. წარმოიდგინეთ ქრისტიანეთ ერთი წევრი ლაზათიანად დაუბეგვეს... მაგრამ ბოლოს ბრძოლის ღმერთმა ვერაგულად შეაქცია მათ ზურგი, სწორედ კვირას, 27 აგვისტოს, დღის-12 საათზე ქრისტიანებმა მოიკრიბეს მთელი თავიანთი ძალა, მოულოდნელათ თავს დაესხენ „ბახუსელთ“ სასტიკათ დაამარცხეს, მთელი მათი ციხე სიმაგრე აიღეს და სამლოცველოც. სამუდამოთ დახურეს.

პოდბიპენტა

---

[1]) „ბახუსელთა“ მთავარ ქურუმს ჩვეულებრივი ენით ეწოდება „მიკიტანი“

[2]) ბახუსის სამლოცველო, ანუ „სამიკიტნო“

[3]) ლოცვა-ღაღადი ე. ი. ხმა ჩახლეჩილი ღრიალი

[4]) მსხვერპლის შეწირვა—ღვინის გადახუხვა

[5]) გალობა—ხმა ჩახრეწილი ყვირილი

[6]) შელუღი—რევოლვერის წაღმა-უკუღმა სროლა.

ქ. დუშეთი.

გაუმრჯოს სოციალ-დემოკრატიულ საბჭოს!

არჩევნები დამთავრდა
 და დაწყნარდა ხალხი.
ფედერალისტებმა კი შეიმოსეს თალხი.
 არ გაუდით ბეჩავებს
გაწყობილი ხრიკი
 და თევზისა მაგივრათ
დაიჭირეს ხვლიკი.
 ამის გამო მაშინვე
მოახდინეს კრება:
 თუ როგორ აღედგინათ
დაცემული მცნება.
 ბევრი სიტყვა დაინთხა,
ცრემლიც დაიღვრა.
 განუწყვეტლივ ისმოდა
ქუჩური მუქარა.
 თხოვნაც კი გაგზავნეს,
სადაც ჯერ არს, გრძელი.
 ვნახოთ ვის აქვს ძალა.
ვის აქვს მძლავრი ხელი.

მაგნელი ბზიკი.

„მუშაკის მათრახის"

ხელის მომწერლების საყურადღებოთ.

ქალალდის და ყოველგვარი საბეჭდავი მასალის უზომოთ გაძვირების გამო, ჟურნალის ფასი წლიურათ 7 მან. მაგიერ არის 12 მან. ამიტომ გამომცემლობა სთხოვს ხელის მომწერლებს, გამოგზავნონ ზედმეტი 5 მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ ნომრიდან ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ.

კანტორა „განათლება".

სამხედრო მიმოხილვა


ბუკუმი.
ლიბავა
ლესტენი.
ლონდონი
ოლანი
ბალტიკა
ლონდონი
ეკაუ
ბაუსკი
ქ. ბაუსკი
ქ. ბაუსკი
ბერლინი
ბერლინი
ბერლინ



კერენსკი. სწორეთ ხათაბალაა! ჩამოგსხამ ამ მინისტრებს, გაიხედავ სტოლი ისევ ცარიელია.

რედაქტორი ეშმაკი, სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის № 1